№ 179

შაბათი, 21 აგვისტო, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 179

სამშაბათი, 21 აგვისტო, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის კერძო სამკურნალო

ვადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

ქია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი ანიშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ვადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, —10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 1—2 ს.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^1/_2$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის ([illegible] ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია

აცხადებს, რომ ამა წლის ენკენისთვის პირველ დღიდან თავისუფლდება როინაშვილის ფოტოგრაფიის **გამგეს ადგილი**. ვისაც სურს ეს ადგილი დაიჭიროს, მან უნდა თხოვნით მიჰმართოს საზოგადოების გამგეობას. ფოტოგრაფიის ხელობის ცოდნა სავალდებულოა. ჯამაგირი თვეში იქნება 50 მან. და წმინდა მოგებიდგან 25%.

(—7—)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის

დირექტორი

აცხადებს საყოველთაოდ, რომ მოსწავლეების მიღება **უმცროს განყოფილებასა** და ახლად გახსნელ მოსამზადებელ კლასის **საშუალო განყოფილებაში** მოხდება 1901—1902 სამოსწავლო წლის 28 და 31 აგვისტოს. უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7-დგან 9 წლისანი უეგზამენოთ, საშუალოში—8—10 წლისა ეგზამენით.

თხოვნები მიიღება ორშაბათობითა, ოთხშაბათობითა და შაბათობით 10-დგან 1 საათამდე სასწავლებლის სადგომში. თხოვნას უნდა ახლდეს მოწმობანი დაბადებისა, წოდებისა, ყვავილის აცრისა და მათი პირები. უამ მოწმობებოდ თხოვნები მიღებული არ იქმნება.

(6—ნ.—6)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. [illegible]აპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

გ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардiана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ქართული დრამატიულის საზოგადოების გამგეობა.

სექტემბრის პირველ რიცხვებში გამართავს

გამოსაცდელ წარმოდგენას

ვისაც ჰსურს ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება, იმან უნდა მიჰმართოს საზოგადოების კანტორაში (სათ.ვად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ) ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე.

(55ვ—8)

სასწავლებელი და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა.

ოლღას ქუჩა (Ольгинская), № 13. ყმაწვილებს იღებენ ყოველ დღე. სწავლა 1 სექტემბრიდამ.

(10 181 1)

მთავრობის განკარგულება

ებოძათ: ხორუნჟობა მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის პაჟთა კორპუსის პაჟს თავ. ამილახვარს თერგის ყაზახთა ჯარის 1-ლ ყიზლიარ-გრებენის რაზმში; კორნეტობა—ნიკოლოოზის კავალერიის სასწავლებლის იუნკერს თავ. ხიმშიაშვილს მისის უდიდებულესობის ნიჟეგოროდის მე-44 დრაგუნთა რაზმში; პოდპორუჩიკობა—მიხეილის არტილერიის სასწავლებლის პორტუპ-იუნკრებს: თავ. ავალიშვილს—მე-5 ცხენოსან არტილერიის ბატარეიაში და თარხნიშვილს—ივანგოროდის მეციხოვნე არტილერიაში; პოდპორუჩიკობა—კონსტანტინეს არტილერიის სასწავლებლის პორტუპ-იუნკრებს: თავ. თუმანიშვილს—ლეიბ-გვარდიის მე-2 არტილერიის ბრიგადაში და მანსურაძეს—მე-5 გრენადერთა ბრიგადაში; პოდპორუჩიკობა—ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებლის იუნკრებს; იმნაძეს აღმოსავლეთ ციმბირის მე-16 მსროლელთა რაზმში, მაჭავარიანს თურქესტანის მე-4 ბატალიონში, გეგელაშვილს მე-8-ში, და თავ. მაჩაბელს კავკასიის მე-8 მსროლელთა ბატალიონში; პოდპორუჩიკობა — მოსკოვის სამხედრო სასწავლებლის პორტუპ-იუნკერს კარგარეთელს პეტერბურგის ლეიბ-გვარდიის რაზმში, იუნკერს გურგენიძეს დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის მე-15 ტფილისის გრენადერთა რაზმში, და იუნკერ უნჯიაშვილს გენერალის თავ. ციციშვილის მე-156 განჯის რაზმში.

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს ხვალ-ზევით, 23 აგვისტოს, მოელიან პეტერბურგიდგან ტფილისში.

⁂ მიწათ-მოქმედების მინისტრის საბჭოს წევრი ნ. პ. მოსკალსკი კავკასიაში გამოუგზავნიათ, რომ ჩვენებური სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებანი და სასწავლებლები დაათვალიეროს, მაგალითად, სანერგეები, საბრეშუმო სადგური და სხვ

⁂ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს ბ-ნს მედვედევს მარაამობისთვის დამლევს მოელიან ტფილისში.

⁂ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი ახალის წესებისა და პროგრამის შემუშავებას შესდგომია, თუ სასოფლო მეურნეობის შესახებ სახალხო კითხვები როგორ უნდა იმართებოდეს. ამ შემთხვევაში ადგილობრივს მეურნეობას დიდი ყურადღება ექმნება მიქცეული.

⁂ როგორც „Приазовскій Край-ს აცნობინებენ პეტერბურგიდგან დეპეშით, რუსეთის ზოგიერთს ქალაქებში,—სხვათა შორის, ტფილისსა და ბაქოში,—განზრახვა თურმე აქვთ წესიერების დასაცველად ერთის წლით გაძლიერებულ მცველობის (усиленной охраны) წესდება შემოიღონ.

⁂ როგორც „Новости-ს“ ბოლონდელს №-ში იწერებიან უგანათლ. თავ. გ. ფ. ვიტგენშტეინის მახლობელი მეგობრები, ტყუილი თურმე ის ხმები, ვითომ ბ-ნ მარტინოვს და ძმას განსვენებულის თავ. ა. ფ. ვიტგენშტეინისას გ. ფ.-ს დუელი ჰქონოდეთ და მარტინოვს ესაც დაეჭრას მკლავში. არავითარი დუელი განსვენებულის თავ. ძმას მარტინოვთან არა ჰქონია და არც სხვა ვისმესა აქვს განძრახვა საბრძოლად გაიწვიოსო იგი.

⁂ რადგანაც საეროზო გარდასახადს მხოლოდ უძრავს ქონებას ახდევინებენ და არა მათს მფლობელს კაცებს, ამისათვის სენატს განუმარტავს, რომ ცეცხლისაგან ან რაიმე სხვა-და-სხვა ნაირად ნივთიერად დაზარალებულთ შეუტანელი გარდასახადი ძალით არ უნდა გაალებინონ და ამიტომ ანგარიშში სამუდამოდ შემოუტანელად უნდა იქმნეს აღნიშნულიო.

⁂ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს 1902 სამოსწავლო წლიდგან რამდენიმე დაბალი და საშუალო სატეხნიკო სასწავლებელი გახსნას რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში. განზრახვა აქვთ, მაგალითად, დაბალი სატეხნიკო სკოლები გახსნან ისეთს დიდს დაბებსა და სოფლებში, სადაც შინახელოსნობაა განვითარებული და ქარხნები და ფაბრიკებია დაარსებული.

⁂ ძველის ენების მასწავლებლებს კლასიკურს გიმნაზიებში, როგორც მოგეხსენებათ, ახალი პროგრამით შტატ-გარეთ დარჩენა მოელით. ამისათვის განზრახვა თურმე აქვთ ახალის ენების სწავლება ამათ დაავალონ და ამ ენების პრაქტიკულად შესასწავლად საზღვარგარეთ გაგზავნონ.

⁂ განზრახვა თურმე აქვთ ამიერ-კავკასიის ზოგიერთს სახაზინო ტყეებში ტყის დარაჯთა შტატებს მოუმატონ.

⁂ გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული, რომ სახალხო მატარებლებში ყველა გზებზედ პატარა აფთიაქები იქონიონ უთუოდ. აფთიაქებს 1902 წლიდგან შემოიღებსნ.

⁂ 25 აგვისტოს ტფილისის სადოლო მოედანზედ ცხენების აღწერას მოახდენენ.

⁂ კვირას, 19 აგვისტოს, დილის $4^1/_2$ საათზედ, ბაქოდგან ტფილისში მომავალ სახალხო მატარებლის № 5 ორთქლ-მავალი ყარაიაზის სადგურთან ლიანდაგს გადასცდა. ორთქლ-მავალზედ მიბმული საქონლის ვაგონი მთლად დაიმსხვრა და ორი მესამე კლასის ვაგონიც ლიანდაგიდგან გადავარდა, მაგრამ შიგ მსხდომთაგან არავინ დაშავებულა. ამ ადგილს სახალხო მატარებლების მგზავრები დღის 2 საათსა და 25 წამამდე ფეხით გადადიოდნენ; 2 საათზე გზის ასაქცევი ლიანდაგი დააგეს.

⁂ როგორც ევლახის სადგურიდგან იუწყებიან, მალაი-ევლახში უცბად გარდაცვლილა მესამე კლასსის მგზავრი ბაგრატ აირაპეტოვ-ოჰანესოვი. მიცვალებულის გვამი ჟანდარმთა პოლიციისათვის გადაუციათ.

⁂ ყარსის გზაზედ მიწის ზვავების თავიდგან ასაცილებლად 1902 წლის ხარჯთაღრიცხვაში 600, 000 მანეთია შეტანილი, რომ 84—186 ვერსს შუა 412 საჟენის სიგრძეზედ, ლიანდაგი მთლად გადახურონ რითიმე.

სამცხე-საათაბაგოს ნაოხრები

(მგზავრის შენიშვნანი)

ვერც ამ მხარის საკვირველს აწმყოს, ვერც მის ისტორიულ ნაშთთა საოცრებასა და სიმშვენიერეს და ვერც თვით ქვეყნის მიდამოთ შვენებასა და სიდიადეს ვერ შეიგნებთ, თუ არ გაითვალისწინებთ ამ საქართველოს კუთხის ისტორიულ წარსულს. ამ ვრცელს მხარეს უხსოვარ დროიდან ზემო ქართლს უძახდნენ, შემდეგში კი სამცხეთ გადანათლეს და ამ სახელწოდებამ მიანიჭა მკვიდრთაც მესხების სახელი.

ეროვნული

ბევრი ჩვენი მეისტორიენი ამბობენ, რომ სახელწოდება „სამცხე“ წარმოსდგა სამი ციხიდგან, რომელნიც იყვნენ აშენებულნი ქ. ახალციხის სამს სიმაღლეზედაო. არაბებმა ეს ციხენი შემუსრეს, მაგრამ თამარ მეფემ მათ ადგილს ერთი ციხე ააშენა, რომლითაც სამივენი შეაერთაო.—ამ ციხის აშენებამ დააკუთნა ქ. ახალციხეს თავისი სახელი; ხოლო მთელს მხარეს სამცხეობა შეჰრჩა დღემდეო.

მართალია, ახალციხე იმთავითვე ზემო ქართლის პოლიტიკურის ცხოვრების მესვეური იყო, იგივე იყო გასაღები შიდა-ქართლისა, მაგრამ მისი სამი ციხე მაინც არ მისცემდა ამ სახელწოდებას მთელს მხარეს.

სამცხეს სახელწოდება ამ მხარეს უნდა მიეღო, მგონია, უფრო იმ ციხე-სიმაგრეთა სიმრავლის გამო, რომელიც გაკვირვებს აქ მოგზაურს და რომელიც სხვაგან (მდენად არ მოიპოვება საქართველოში. ციხენი აწყურის, ასპინძის, ახალციხის, ხერთვისის, თმოგვის, ახალქალაქის, ყველის, არტაანის, წუნის, არტანუჯის, თუხარისის, იმნის, კალმახოსის, ქაჯეთის, დადეშის და მრავალნი სხვანი გაოცებენ თავიანთის სიდიდითა და სიმაგრით. თითქო რაღაც დევ-გმირთ უცხოვრნიათ ამ კლდე-ღრიან მხარეში და მათ აუშენებიათ ეს საოცარი ციხე-სიმაგრე, ამ საოცარ მდებარეობაში.

ამ მხარის მდებარეობას რომ თვალწინ წარმოიდგენ, აუცილებლად ჰრწმუნდები, რომ ან იგი ტრაპიზუნამდე და არზრუმამდე საქართველოს ხელში უნდა ყოფილიყო და ან იგი ტაოს-კარამდე (ბორჯომის ყელამდე) სხვას უნდა სჭეროდა. სხვა რაიმე სტრატეგიული განყოფა ამ მხარისა ვერ მოხერხდებოდა.

ოდეს ეს მხარე ზემო-ქართლად იწოდებოდა და საქართველოს მეფის ხელში იყო, მაშინ მას შეადგენდა: კლარჯეთი, შავშეთი, ლიგანის ხევი, ტაოს-კარი, აჭარა, არტაანი, კოლა, ჰერუშეთი, ჯავახეთი და საკუთრივ სამცხე (ახალციხის მაზრა). მთელი ეს მხარე უხსოვარ დროიდან კეთილ მოქალაქობდა; ხოლო მეფობასა ბაგრატებისა, დავით აღმაშენებლის, გიორგის და თამარის დროს,—ჰყვაოდა. ამდროს აქ შემდეგი სიეპისკოპოზო კათედრანი დაწესდნენ: იშხანს, კუმურდოს, აწყვერს, ტბეთს, წყაროს თავს, წურწყაბს, ვალაშკერთს, ერუშეთს, შანს, დადეშს, სახალტბელს, ჰინოეთს...

პირველად არაბთა შემოსევამ შესძრა ეს მხარე, მაგრამ მხნე მეფეთ ბაგრატთ, გიორგი ⴃ დავით აღმაშენებელთ აღაგმეს არაბნი, ბოლოს კი (1087—1125) დავით აღმაშენებელმა სრულებით განდევნა. არაბებს მოჰყვნენ მაჰმადიან-სელჯუკთა ბრბონი, რომელთაც მამაცად უხვდებოდა მეფე გიორგი III. შემდეგ სელჯუკთა სულთანს ხორასნის სულთანი შეუერთდა, ამათ სომხებიც მიემატნენ, მაგრამ გიორგიმ არამც თუ განდევნა იგინი ზემო-ქართლიდან, შეესია სომხეთს და წაართვა მათ ძველი ქალაქი დოვანი, ქალაქნი ვაგარშაფათი და ანნი, შემოუერთა ზემო-ქართლს ⴃ მმართველად დანიშნა შანშე დადიანი. იმძლავრა შემდეგში შანშე დადიანმა, მესხეთს მოჰგლიჯა ვანი, ერუშეთი, ოლთისი და ცოტა ხნით გამეფდა.

ყველაზედ სათუთად სამცხეს გიორგი III ეპყრობოდა, ამან ააშენა აქ მრავალი ეკკლესიანი, დიდებულ ვარძიის მონასტრის აშენების მიზეზიც ეს იყო, იმიტომაც აქ ასაფლავია პატარა ეკკლესის ტრაპეზის წინ მეფე კონსტანტინესთან ერთად.

1453 წ. ოსმალთ აიღეს ბიზანტია და ამ დღიდან მოსვენებას აღარ აძლევენ სამცხეს, ქრისტიანულ კულტურით აღყვავებულს ⴃ სამსეს დიდ—შენი მშვენიერი ეკლესიებით და მონასტრებით. როგორც საქართველოს ყველა კუთხეს, სამცხესაც უხსოვარ დროიდან ჰყვანდა თავისი ერისთავები, რომელთაც საქართველოს მეფე ჰნიშნავდა. აქაურ ერისთავებს უფრო ათაბაგებად იხსენიებდნენ. პირველი ათაბაგი სამცხისა იყო სარქის. 1334 წელს მეფე გიორგი V ათაბაგობა მისს შვილს ყვარყვარეს უბოძა და ეს თანამდებობა მემკვიდრეობითი გაჰხადა.

ქაიხოსრო ათაბაგის შვილმა ყვარყვარემ დამოუკიდებლად აღიარა სამცხე და გაუდგა საქართველოს, მაგრამ მარტო დარჩენილმა 1580 წელს ვერ გაუძლო ოსმალთ და ტყვედ იქმნა წაყვანილი. იქ მიიღო მაჰმადიანობა, სულთანის ქვეშევრდომობა და უკანვე დაიბრუნა საათაბაგო. ეს ის დრო იყო, როდესაც თვით საქართველოც მიიხრწნა და დაქუცმაცდა: მეფე ალექსანდრემ სამად გაუყო თავისი სამეფო სამ თავის შვილს. შვილმა ყვარყვარე ათაბაგისამ, მანუჩარმა, შორს მოიკიდა ოსმალნი, ბევრად არაფრად აგდებდა მათ, ბევრჯელაც დაამარცხა სულთანის ჯარები აჭარის, მაჭახელას და შავშეთის ხევ-ხუვებში. მანუჩარის შვილმა, მანუჩარ მეორემაც, ბევრი წინაღმდეგობა გაუწია ოსმალთ, მაგრამ მაინც 1614 წ. აღიარა სულთანის ბატონობა და ათაბაგის სახელ-წოდებას ფაშობის სახელიც მიუმატა. ამ უბედურობას ისიც დაატყდა, რომ მანუჩარ II უძეოდ მოკვდა და სამცხე თათრების ფაშებს დაჰრჩათ.

220 წელიწადი დარჩა სამცხე ოსმალთ ხელში, სანამ 1828 წელს პასკევიჩი რუსეთს შემოუერთებდა. დაღი როგორც ქართველების, ისე ოსმალთ ⴃ რუსთა მფლობელობისა ზედ აჩნევია დღესაც ამ ტანჯულ მხარეს.

ბევრია ჩვენში იმ აზრისა, ვითომც ოსმალთ მძლავრებით გადიბირეს სამცხე. მაგრამ ფაქტების აწონ-დაწონვა სულ სხვას გვამცნევს. იგდეს რა ოსმალთ ზემო-ქართლი ხელში, დაჰყვეს სანჯაყებად ⴃ გადასახლების ნება მკვიდრთ არ მისცეს. თავად-აზნაურობას თუმცა მამულ-დედული არ ჩამოართვეს, მაგრამ გლეხობა ყმობიდგან განათავისუფლეს ⴃ მათზედ თავად-აზნაურთ გავლენა შეასუსტეს. ხალხსაც მოფერება დაუწყეს: ისლამის მიღებით, ოსმალურ გცევად გაყოლით, ოსმალურ ტანსაცმელზედ ჩოხის შეცვლით, ოსმალურ ენის შეთვისებით ყველას შეეძლო მიეღო ბეგობა, აღობა ⴃ ეფენდობა.—მიტომაც ხალხში გახშირდა ეს წოდებანი ⴃ გადაბირება დაიწყო.

ამ პოლიტიკას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ აქ ხშირად ქმარი მაჰმადიანი იყო ხოლმე, ცოლიკი ქრისტიანი. ამას დაკანონებაც დაჰყვა, რომელსაც ფლიდობა ზედ ესვა დაღად: შვილები ასეთ ქორწინებიდან უეჭველად მაჰმადიანნი უნდა ყოფილიყვნენ, ქალებს კი ქრისტიანობაც შეეძლოთ. ოსმალთ ფლიდური პოლიტიკა იქამდის იყო მოფიქრებული, რომ ამ მხარეში გადმოასახლეს მრავალი სომეხი, ართვინი, ახალ-

ციხე, არდაგანი
სომხებით, მისცეს თავისუფლე
თავიანთ სარწმუნოებრივ წესებ
ასრულებისა, ⴃ მიანდვეს ქართვე
ლობაზედ მეზვერობა ⴃ დაბეგვ
ბა. ბერძნების წინააღმდეგაც ა
მოიქცნენ ოსმალები, როდესა
სტამბოლის მთელი უბნები სომხ
ბით დაასახლეს. თვით სომხე
შიში ოსმალთ თავისდღეში არ ჰქ
ნიათ, რადგან კარგა იცოდნენ ჰ
თი ღირსება ⴃ ამასთან ქურთებ
ჰყვანდათ მუდამ იმათ ასალაგმავ

ახალციხე გახდა ფაშების სადგო
ქალაქად. პირველი ფაშა იყო ჰასა
ფაშა. ამის ჩამომავლობას არ ერთ
ოდა ეს თანამდებობა ⴃ ამათი გვ
რის უკანასკნელი ასლან ფაშა 171
წელს მოკვდა.

მეფენი ვახტანგ სჯულმდებელ
თეიმურაზ, ირაკლი ბევრჯელ ც
ცადნენ საათაბაგოს დაბრუნებ
მაგრამ ამაოდ. ოსმალთ ტაშის-კარ
მეტი ვერა იქერდარა. მარტო რ
ამ ტერიტორიის დაჭერით დაკმა
ფილებულიყო ოსმალეთი, კიდევ
გვიჭირდა! ახალციხის საფაშო ძალ
ჭირად გადაიქცა საქართველოსთვ
სამ საუკუნის განმავლობაში ახა
ციხის საფაშო ურდოს-ურდოებ
ჰგზავნიდა მომიჯნავე საქართველ
კუთხეებში ⴃ მუსრს ავლებ
მკვიდრთ. ბევრი სოფელი, ქალაქი
მხარე სამუდამოდ აოხრეს ამათ. ა
თი ბედი ჰხვდათ მოსაზღვრე წალკ
თრიალეთს, სომხეთს, ბოლნისს,
მომრევანის ⴃ ხრამის ხეობებს...

ტყუილად-კი არ უთხრა მეფე ე
კლემ ახალციხის ფაშის ელჩ
რომელნიც სწორედ იმ დროს ჩ
ვიდნენ ტფილისში მეფის კარს, რ
ცა მეფეს ოსმალებისაგან მაწყ
სის ⴃ მის მიდამოს აოხრებას უჩივ
დნენ: „—დადექით თქვენს ქერქ

ფელეტონი

—

სიმინდი და სიმინდის მეურნეობა ქუთაისის გუბერნიაში.

(დასასრული*)

ეხლა დავახასიათოთ გლეხების მიწის მფლობელობა და მათი მეურნეობა.

როგორც სჩანს ცნობებიდგან, რომელიც შეკრებულია ამიერ კავკასიის სტატისტიკურის კომიტეტისაგან, ქუთაისის გუბერნიის 7 მაზრაში (სვანეთის გარდა) გლეხებს ჰქონიათ 439,545 დესეტინა მიწა, რაიცა შეადგენს 23% ყველა მიწებისას გუბერნიაში. თითო გლეხის კომლზე (იმავე კომიტეტის ცნობებით იყო 766, 526 სული ანუ 153,000 კომლი), შუა რიცხვით მოდის 3, 1 დესეტინა მაშინ, როდესაც ევროპის რუსეთში თითო კომლზე მოდის 12,3 დესეტინა ე. ი. 4-ჯერ მეტი, ვიდრე ქუთაისის გუბერნიაში. საშუალოდ თითო გლეხს უჭირავს 2 დესეტინიდგან (ოზურგეთის მაზრაში) 5,1 დესეტინამდე (ლეჩხუმის მაზრაში). სახელმწიფო გლეხზე მოდის 4,2, მესაკუთრე გლეხზე 2,5, ხიზნებზე 3,2 და დროებით დამოკიდებულ გლეხზე-კი 4,4.

მეტნაკლებობა მიწების მფლობელობისა ზემოხსენებულ გლეხებისა ყველა მაზრაში ასე გამოიხატება.

მაზრები	სახელმწ. გლეხ.	დროებით დამოკიდებ.	მესაკუთრე გლეხები	ხიზნები	საშუალოდ სულოვნებ.
ქუთაისის	5,4	5,4	2,5	2,0	3,7
შორაპნის	3,2	5,0	2,0	3,1	2,7
რაჭის	2,8	4,7	2,6	3,6	3,2
ლეჩხუმის	4,1	6,2	5,1	1,4	5,1
ზუგდიდის	6,1	2,7	3,2	4,0	3,4
სენაკის	3,0	4,3	2,3	1,8	2,6
ოზურგეთ.	3,9	2,3	1,4	1,4	2,1
მთლ. გუბ.	4,2	4,4	2,5	3,2	3,0

უნდა შევნიშნოთ, რომ უფრო მართალი ციფრები ეკუთვნის სახელმწიფო და დროებით ვალდებულს გლეხებს, სხვა ცნობები-კი ცოტად თუ ბევრად დაახლოვებულია.

ამ ნაირად ქუთაისის გუბერნიის გლეხებს ძალიან ცოტა მიწები აქვთ. ამას ნათლად გვიმტკიცებს გამმიჯვნელების ცნობები, საიდგანაც ვტყობილობთ, რომ 1879 წელს საშუალოდ თითო კომლზე მიდიოდა 2,4 დესეტინია.

ზემოხსენებული ციფრები გვიჩვენებენ გლეხების მიწის-მფლობელობის რაოდენობას საერთოდ, ხოლო ამ რაოდენობაში სახნავ-სათესი მიწა შეადგენს 48—70%, ესე იგი თითო კომლსა ხვდება 096—2,6 დესეტინამდე, თუ ამ რიცხვს მივუმატეთ თავად-აზნაურებისაგან იჯარით აღებულს მიწებს, მაშინ სახნავ-სათესი მიწა თითო გლეხის კომლზე მოვა:

	რამდენი მოდის ერთ გლეხზე აზნაურის მიწა.		სულ რამდენი აქვს გლეხს.
ქუთაის. მაზ.	0,26	დეს.	2,22
შორაპნის „	0,37	„	1,74
რაჭის „	0,35	„	2,08
ლეჩხუმის „	4,0	„	6,60
ზუგდიდის „	2,0	„	3,73
სენაკის „	0,9	„	2,72
ოზურგეთ. „	1,1	„	2,00
მთელ გუბერ.	0,9	„	2,56

ამ ნაირად, საშუალოდ თითო კომლზე მოდის 2½ დეს. სახნავ-სათესი მიწა, რომლისგანაც, განსაკუთრებით იმერეთის აღმოსავლეთ მხარეს, უმეტესი ნაწილი ისვენებს. 1898 წლის ცნობებით ერთ კომლზე მოდიოდა 1,5 დესეტინა; ხოლო 1897 წელს ერთ დესეტინა სახნავ-სათეს მიწაზე მოდიოდა 2,8—4, 6 მცხოვრებელი.

რადგანაც გლეხებს მეტის მეტად ესაჭიროებოდათ მიწა, ამიტომაც, როგორც დავინახეთ, ისინი ამუშავებდნენ დიდი მემამულეებისაგან დაქირავებულს ადგილებს, ხოლო როცა საშუალება ექნებოდათ, ყიდულობდნენ კიდეც. ჩვენ უკვე ვნახეთ როგორ მიდიოდა ეს საქმე მე-70-80 წლებში; უმეტესად ყიდულობდნენ გლეხები ქუთაისის მაზრისა (50%), შორაპნის მაზრისა (28%), ხოლო რაჭისა-კი (14%), ე. ი. ყიდულობდნენ ისეთი გლეხები, რომლებსაც ნაკლები მიწები ჰქონდათ. სულ გლეხებმა იყიდეს 9328 დეს. მიწა. ფასები ძალიან სხვა-და-სხვაობდნენ; მეტად აიწიეს მე-80 წლებში და მას შემდეგ ისევ დაეცნენ.

აღვნიშნოთ ეხლა, თუ რამდენად მისდევს იმერეთის გლეხ-კაცობა საქონლის მოშენებას და მოვლას, რამდენი საბალახე-საძოვარი მიწები აქვს და რას სარგებლობს ამ საქმიდგან. ზოგიერთი ცნობები ამის შესახებ ამოკრებულია ოფიციალური ცნობებიდგან სახელმწიფო გლეხებზე, რომლებიც, როგორც ვიცით, სრულიად დაკმაყოფილებულნი არიან სახნავ სათეს მიწით.

საძოვარი და ტყიანი ადგილები შეადგენს ერთ მესამედზედ მეტს სახელმწიფო გლეხების მთელის მფლობელობისას, თუმცა უმეტესი ნაწილი ამ ადგილებისა უვარგისია... ისეთი ტყეებიც არის, რომ მხოლოდ საფიჩხეთ ვარგა და სხვა არაფრად.

სათიბი სრულებით არ არის გუბერნიაში, თუმცა-ღა აქა-იქ შეიძლება შეხვდეთ ლეჩხუმის, შორაპნის და რაჭის მაზრებში. ზემო რაჭაში ამისთანა სათიბები შეადგენს 8% გლეხების მფლობელობისას, ზოგან, სადაც ამგვარი ადგილები სრულებით არ არის, გლეხები აზნაურთაგან ქირაობენ.

საკვირველია, რომ ამ ნაირ მდგომარეობაში ჩავარდნილი საქონელი მჭლევდება და სამუშაოდ უვარგისია, ხშირად შეხვდებით ასეთს სა-

ნახავს: დაუბამს გლეხს თოკით
ქონელი და აჭმევს მარტო გამხმ
ბალახს, რომელიც როგორღაც
დარჩენილა ან რკინის გზასთან,
რომელიმე მირვარდნილ ადგი
შეხვდებით ზოგიერთ გლეხის ქ
საც, რომელსაც ძროხა ტყეში შ
ყვანია და ხის ფოთლებს აჭმევს,
თითონ ჩამოსწყვეს ტოტებს და ძრ
ხას პირში აძლევს.

უმთავრესი საჭმელი საქონლ
თვის ჩალაა, მაგრამ ხანდისხან
უნოყიერო საჭმელიც გლეხს
მოეპოება. საუკეთესო დრო სა
ნელს მაშინ უდგება, როდესაც
მინდი ახლად ამოდის. ამ დროს ბ
რონი მათ აწვდენს ახალს ნოყი
ნამარგვლს სიმინდს. რასაკვირველ
ეს უფრო აღმოსავლეთ იმერე
შეეხება, ვიდრე დასავლეთს,
დაც სიმინდი ბლომად მოდის,
ამიტომაც საქონელი აქ უფრო მ
ქანი და ღონიერი არის.

ვნახოთ ეხლა, რამდენად დ
ყოფილებული და უზრუნველყო
ლია გლეხი თავის მუშა და სა
შენო საქონლით.—ყანებს ამ
ვებენ ხარებისა და კამეჩების
წეობით, ხოლო ცხენებს კი სა
რულოდ და სხვა-და-სხვა ბარ
გადასატანად ხმარობენ. როგო
1898 წლის ცნობებიდგან ს
ას დესეტინა მიწაზე მოდის 62
ლი საქონელი, საშუალოდ კო
კომლზედ 1,1—3,1 სულამდე
ცნობები დაახლოვებითია, ხო
როგორც სჩანს სახელმწიფო

(* იხ. „ივერია“ № 97.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა მრისხანე მეფემ, თორემ ოთს ვისმეს ჩაუგდებ საქართველოს ლში, რომ არც თქვენ მოგასვენოთ".

სმალნი თავიანთსას არ იშლიდნენ: ლეკებიც კი იქ დაბინავეს, მ ერთად აეკლოთ საქართველო… ავალი ტყვეები კვნესოდნენ საქართველოდან ახალციხის საფაშაში. იმიტომ, რაც გრაფმა პასკევიამათ დღე დააყარა 1827 და 1828 წლებში—ეს დღესაც ახარებს ქართველის გულს… 3000 ლაზიდან ცოცხალი გადარჩა ახალციხის ალების დროს; იანიჩარები სულ მოისრნენ, ტო ერთი იანიჩარი ბაში გადარჩა. 1000 კაცურად ჩაცმული დედაკაცი იპოვეს რუსებმა ომის დათავების შემდეგ ახალციხის სანგლებში მკვდარი… მაგრამ მაინც მოიშალა ეს მტარვალთ ბუნაგი…

მღვდელი ზაქარია გულისაშვილი

(გაგრძელება იქნება)

დაბა და სოფელი

ს. მეჯვრისხევი. გვალვა და წყლის სიძვირეა. სარწყავს რუებზედ ცილაობა, ძალაობა და თავების მტვრევაა, რამაც ერთი ყმაწვილი-კაცი უკვე გამოასალმა წუთი-სოფელსა და ლამის რამდენიმე სხვაც იმსხვერპლოს.

10 მარიამობისთვეს, საღამოს 9—10 საათზედ, წყლის გამო ჩხუბი მოუვიდათ გლეხებს: ერთის მხრივ მღებრიშვილებსა და მეორე მხრივ ორ ძმათაშვილებს ზანგურაშვილებსა და გენგიურს.

წყლის ჯერი მღებრიაანთი ყოფილა და რამდენისამე დღის შემდეგ გენგიურ-ზანგურაშვილებისათვის თურმე უნდა მიეცათ, მაგრამ მღებრიშვილები (არ გაეთავებინათ ჯერ კიდევ რწყვა, თუ სხვა რაიმე მიზეზისა გამო) წყალს თურმე არ ანებებდნენ. ამდგარან და მეორე მხარეს, მერუეებისა და მამასახლისის ნებართვით, თავიანთ ახლად-გაშენებულ ხეხილებიან ბაგისათვის მიუგდიათ წყალი, რომელიც მოურწყაობით თურმე მთლად უხმებოდათ. მღებრიანთ ეს არ მოსწონებიათ, წყლის წასართმევად მისქრიან და მოსვლიათ ლაპარაკი; ამას მოჰყოლია ჩხუბი და ერთმანეთისათვის კეტები, ბარები და თოხები დაუშენიათ.

ჩხუბი სოფლის განაპირას მოხდა, სადაც უდროო დროს არავინ გარეშე არ შესწრებია.

ჩხუბში მძიმედ დაიჭრნენ ბარით რამდენსამე ალაგას: ნიკა მღებრიშვილი, ძმა მისი ზაქარა—თავში ორ-სამ ალაგას, ამისი შვილი, რომელსაც სრულებით მოსტყდა მარცხენა მკლავი, და ერთიც კიდევ სხვა ამათივე ოჯახიდგან. მაგრამ ყველაზედ მძიმე, სასიკვდილო ჭრილობა თავში თოხის ყუით ამათი სახლი-კაცის ზედ-სიძეს ლექსო ჩიტიშვილს მიუღია, რომელიც თურმე მოჩხუბართ აშველებდა. მეორე მოწინააღმდეგე მხარე, რიცხვით ნაკლები, რაღაც სასწაულით სრულიად უვნებლად გადარჩა. ესენი მეორე დღესვე მამასახლისმა დაიჭირა და საქმის გარემოება მთავრობას აცნობა; დაჭრილთათვის შინაური ექიმი ჯაფარიძე მოიწვიეს.

გამომძიებელმა და მკურნალმა ჩიტიშვილის მდგომარეობა უიმედოთა სცნეს და, მართლაც, წვრილის ცოლ-შვილისა და მოხუცებული დედმამის საუბედუროდ, საბრალო მარიამობა დღეს გარდაიცვალა. დამნაშავენი და დაჭრილები გორს არიან დაბარებულნი. მიცვალებულს შეუმოწმებლად არ ასაფლავებენ. ამბობენ, მოტეხილი მკლავი მღებრიშვილს აღარ მოურჩებაო; დანარჩენ დაჭრილთაც ვინ იცის, რა მოელის.

—

სოფ. მარტყოფი. (ტფილისის მა რა). წრევანდელმა წელიწადმა ყველაფრით დაგვჩაგრა. მინდვრის თაგვმა მოსავალი პურისა ისე გაგვინადგურა, რომ სათესლე პურიც კი არავის მოგვივიდა. კოდი პური ოთხი მანეთი, ოთხ და ათ შაურად ფასობს, მაგრამ ამასაც გასასყიდს სოფელში ვერასგზით ვერ იშოვის კაცი. მეზობელს მეზობლისათვის პური ვეღარ უსესხებია, ვაითუ სესხის მოცემა დაგვიგვიანოსო. ერთი სიტყვით, ყველა უბნიდან შიმშილობის ხმა ისმის, მაგრამ ჩვენი დალოცვილი სოფლის მოხელენი არხეინად არიან და იმდენი ვერ მოუცლიათ (დუქანში ქეიფობისაგამო), სოფელს რაიმე გულშემატკივრობა გაუწიონ და სოფლის ამნაირი გაჭირება სადაც ჯერ არს აცნობონ.

ქსენონისათვის შენობა და ყოველივე საჭირო იარაღიც მზათა გვაქს დიდიხანია, მაგრამ მკურნალს ვერ ველირსენით. საკვირველია სწორედ გულგრილობა ჩვენი ახალგაზდა მკურნალებისა! ნუ-თუ სოფელს კი მკურნალობა არ ესაჭიროება, რომ ასე ერიდებიან?

უცხოეთი

—

გერმანია. ბერლინის რადიკალური გაზეთი „Dziennik Berlinski" სწერს, რომ პრუსიის პოლონელები ჰგვანან პირველ-ყოფილ ქრისტიანებს, რომაელებისაგან დევნილებს, და ასეთადვე უნდა დარჩნენო. რომ თავისს რჯულს არ უღალატონ, პოლონელები შემდეგს ღონის-ძიებას უნდა დადგნენო: 1) პროტესტი უნდა გამოუცხადონ ყოველგვარს საეკკლესიო ღვთის მსახურებას, რომელსაც ნემეცურს ენაზედ ასრულებენ, და უარი უნდა სთქვან მისს შესრულებაზედ; 2) საჭიროების დროს ბავშვები უნდა მონათლონ ხოლმე მარტო წყლით, რაიცა ყველა ქრისტიანეს შეუძლიან, ხოლო ავადმყოფების ზიარების დროს უნდა დაკმაყოფილდნენ მარტო აღსარებით, რომ არ დაიხმარონ ნემეცთა მღვდლები; 3) ნემეცთა ეკლესიებს არ უნდა მიეკარონ და თუ საკუთარი ეკკლესიები არა აქვთ, უნდა ილოცონ ჩვეულებრივ სახლებში, ამ მიზნით დაქირავებულ დარბაზებში და ბოლოს, 4) კათოლიკე-პოლონელნი უნდა განცალკევდნენ გერმანიის საკათოლიკო ეკკლესიისაგან იმისათვის, რომ განსაკუთრებული ეროვნული ეკკლესია დააარსონ.

—

ავსტრო-უნგრეთი. როგორც ოფიციალურ სტატისტიკიდგანა სჩანს, ამ წლის პირველ 6 თვის განმავლობაში ავსტრიის ცენზორს დაუჭერია 304 გამოცემა ჩეხურს ენაზედ, 387—ნემეცურსა და 965—პოლონურს ენაზედ. რედაქტორნი და გამომცემელნი დასჯილ იქმნენ 356 შემთხვევაში სახელმწიფოსაგან აღიარებულ სარწმუნოებათა გაკიცხვისათვის, 196—უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის, 24—სახელმწიფო ღალატისათვის და სხვ. საზოგადო ანგარიშით ყველა ბრალდებულთ ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტეს 196 წლით, 9 თვით და 22 დღით.

წერილი რედაქციის მიმართ.

მ. ხ. ბ-ნო, რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვთ თქვენის პატიეცემულ გაზ. „ივერიის" საშუალებით გულწრფელი მადლობა გამოვუცხადო ჩემისა და ჩემის სავანის დების მხრივ იმერეთის ეპარქიის სიმონეთის საბლაღოჩინო ოლქის ბლაღოჩინს მღ. მამა ლუკა ჭიპაშვილსა და მისდამი რწმუნებულს სამღვდელოებას, რომლებმაც ჯიხეთის დედათა სავანისათვის ახალი ქვის ეკკლესიის ასაგებად საჭირო ფულის შეკრებაში ჩვენს მონოზნებს ყოველგვარი თავ-თავისს მრევლში დახმარება და შემწეობა აღმოუჩინეს და ორას ცხრამეტი მანეთი და ორმოცდა სამი კაპ. (219 მ. 43 კ.) მოაგროვებინეს. უზენაესს ვსთხოვთ ბლაღოჩინს მამა ლ. ჭიპაშვილს მიმბაძველნი აღმოსჩენოდენ და ჩვენს ღარიბს სავანეს შესწევოდნენ. ამასთან კრძალვითა და მორჩილადა ვსთხოვთ ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანეთ აღნიშნულის ეკკლესიის აშენების საქმეში თავიანთი შეწირულებით დაგვეხმარნენ. ყოველივე მცირედი შეწირულება დიდის მადლობით იქმნება მიღებული და მთა-მონასტრის მოსახსენებელს წიგნში ჩაწერილი, რომ შემომწირველნი და მათნი მიცვალებულნი მუდამ იხსენიებოდნენ.

გურიის ჯიხეთის დედათა სავანის წინამძღვარი ელენე.

შეწირულება გამოიგზავნება შემდეგის ადრესით:

Мѣст. Ланчхути, Кут. губ. Настоятельницѣ Джихетской женской общины Еленѣ.

ახალი წიგნი:

გამოვიდა ცალკე წიგნად ა. ხახანაშვილის შრომა „Есть-ли грузино-католики"? Вопросъ и отвѣтъ г. Сарухану. ქუთაისი, 1900 წ., „მწყემსის" გამოცემა. წიგნი შეიცავს 40 გვ. და დამყარებულია სხვა-და სხვა გამოკვლევებსა და არქივის საქმეებზედ.

ბების ცნობებიდგან, მე 80 წლებში ერთ კომლზე ქუთაისის მაზრაში მოდიოდა საშუალოდ 1,64, ხოლო რაჭის მაზრაში 2,33.

რაც უნდა იყოს, არიან ისეთი სოფლის მეურნენიც, რომლებსაც საქონელი არც კი ჰყავთ. ესევე დამიმოწმეს ზოგიერთმა ჩემმა ნაცნობებმა, რომლებმაც დაახლოვებით იციან სოფლის ცხოვრება. ზოგიერთ გლეხს თითო ხარის მეტი არა ჰყავს, მაგრამ ამისთანა გლეხი ყოველთვის იშოვის თავისთანავე ერთ ხარიან გლეხს და ინათხოვრებს, ხოლო შემდეგ თითონ ათხოვებს. ვისაც სულ არა ჰყავს,—მეტი რა ღონეა,—უნდა იქირაოს. რასაკვირველია, რომ ასეთს მდგომარეობაში ნიადაგის შემუშავება ძნელია, და თუ შემუშავდა, ცუდათ შემუშავებულ ქარიც მალე წაახდენს და სიცივეც.

ცხენები მხოლოდ 40% მემამულეს ჰყავს.

ასევე ცუდათ დაკმაყოფილებულია გლეხკაცობა სანაშენო საქონლით. ჯერ ძროხები ძვირად თუ ჰყავს ვისმეს და ვისაც ჰყავს, ვერ აჭმევს ხეირიანათ და ამიტომაც ძროხები არ იწველებიან. ძროხის შენახვა გლეხკაცობას ისე ძვირად უჯდება, რომ ზოგან, მაგალითად, გურიასა და სამეგრელოში, ერთი ძროხა რამდენსამე ოჯახს ეკუთვნის, რომელნიც რიგ-რიგად სარგებლობენ და ზოგჯერ ამ ძროხის ნაწილს მზითევშიაც გააყოლებენ. ერთმა ჩემმა ნაცნობმა, რომელსაც ძროხა ეზოში ება, დამარწმუნა, რომ მას ეკუთვნის იმ ძროხის მხოლოდ „ორი ფეხი", რაიცა ნიშნავს, რომ პატრონს შეუძლია, იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ფეხი ეკუთვნის, იმდენი დღე ისარგებლოს და შემდეგ გარდასცეს მოზიარეს. თუ ძროხამ ინაშენა ან რამე სარგებლობა მოიტანა სხვა, ყველა მოზიარემ უნდა გაიყოს. ქუთაისის გუბერნიაში სანაშენო საქონელი მოდის:

	კომლზე	ას სულზე
ძროხა	0,9	1.70
ცხვარი	1,7	15,3
თხა	0,8	8,8
ღორი	1,4	28,5

ეს ციფრები ნათლად გვიმტკიცებენ, რომ გუბერნიაში საქონლის მოშენების საქმეს ჯერ ფეხი არ მოუკიდია. ამის გამო ნიადაგის გასანოყიერებელი ნივთიერება აქაურის მეურნეობისათვის საკმარისი არ არის. მეურნეობის სხვა ნაწილებიდგან უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მევენახეობას, მებაღეობას და მეაბრეშუმეობას. მაშინ, როდესაც გუბერნიის დასავლეთ ნაწილში გლეხები კიდეც ჰყიდიან მეტ სიმინდს, რომელიც, მევენახეობასთან და მეაბრეშუმეობასთან ერთად, უმთავრესს შემოსავალს შეადგენს, შუა ნაწილში კარგი შემოსავალი აქვთ ბაღებიდგან; აღმოსავლეთ ნაწილში-კი სიმინდი თითქმის არც-კი ჰყოფნის მცხოვრებლებს, ასე რომ ერთ წელიწადს თავი რომ გაატანონ, კიდევ უნდა იყიდონ სიმინდი. ცოტად თუ ბევრად აქაც როგორც არის ვენახით ითქვამენ სულს გლეხები.

საზოგადოდ, ბაღებიანი ადგილები უდრის, აღმოსავლეთ ნაწილში, ე. ი. ქუთაისის შორაპნის, რაჭის მაზრებში, 15,6% მთელი გლეხების მფლობელობისა. შორაპნის მაზრაში თითო გლეხზე მოდის საშუალოდ 0,15 დესეტინა ვენახი, ანუ 360 კვადრატის საჟენი, ასე რომ ვენახისა და სახნავ-სათეს მიწებს შუა დამოკიდებულება გამოიხატება 1:5—6.

ამ ნაირად აქ მევენახეობას ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელობა აქვს მეურნეობაში. მაგრამ მიწები აქ ისე ცოტაა, რომ ბევრნი გარეთ გადიან ფულის საშოვრად. რადგანაც ნამდვილი ცნობები არ არის შეკრებილი, ჯერ კარგათ არ ვიცით, რა გავლენა აქვს ამ მოვლენას სოფლელების ცხოვრებაში. მხოლოდ ეს კი ითქმის, რომ გარეთ გასულები არ ივიწყებენ ოჯახებს და, თუმცა ძვირად, მაინც ბრუნდებიან თავის სამშობლოში. ასე, მაგალითად, ტფილისში რაჭველი მუშები, ყოველ წელიწადს გამოუშვებენ ხოლმე სახლში ერთს რიგს მუშებისას, ხოლო მეორე რიგი რჩება სამუშაოდ, მეორე წელიწადს მეორე რიგი შინ მიდის, პირველი-კი ბრუნდება ტფილისში სამუშაოდ. ასევე შვრებიან თითქმის კახეთის მებაღეებიც. რასაკვირველია, გარეთ გასულები ფულით ეწევიან ოჯახს.

გლეხები რაჭიდგან და იმერეთიდგან რომ გარეთ სამუშაოდ არ გადიოდნენ, მათ ცხოვრება არ შეეძლებოდათ. ეს მოვლენა ისე გაძლიერდა, რომ ბევრს მუშას თურმე აღარც-კი უნდა შინ დაბრუნება და ოჯახობა. გარეთ გასული მუშები უფრო სააღდგომოთ ბრუნდებიან ხოლმე სახლში; თუ კი რამდენიმე ხანი სახლში დარჩებიან, მაშინ ან დურგლობას მიჰყოფენ ხელს, ან სხვა რასმე ხელობას.

საზოგადოთ გლეხები, რაც შეძლება აქვთ, კარგათ მისდევენ მეურნეობას, ასე რომ მიწას ძვირათ თუ გაჰყიდის ვინმე. რაჭაში მე-70 წლებში მხოლოდ მთელ გლეხებიდგან ხუთმა % თუ გაჰყიდა მიწა.

რაც შეეხება გადასახლებას, გლეხები რაჭიდგან მიდიოდნენ და სახლდებოდნენ თერგის ოლქში, ლეჩხუმის მაზრიდგან შავი ზღვის ნაპირებზე, ხოლო შორაპნიდგან გორის მაზრაში. ეს მოვლენა კარგს არ მოასწავებს, იმიტომ რომ გლეხები აქაც ცუდს და უნაყოფო ადგილებზე სახლდებოდნენ. თუმცა მეურნეობა აქ ძნელია და ამიტომაც ბევრი ხელი არ მუშაობს, ჩვენში მაინც ხელოსნობა გავრცელებული არ არის, რადგანაც სულ გარეთ მიდიან სამუშაოთ. ამიტომაც მუშების ფასმა ჩვენში იმატა, ასე რომ თოხნის დროს ნაქირავები მუშა თხოულობს 70—80 კაპეიკს.

ზემო მოყვანილ ცნობებიდგან გლეხების ეკონომიურ მდგომარეობაზე შეგვიძლია გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნანი:

1) გლეხების მეურნეობის საქმე უმიწობისა და უადგილობის გამო ძლიერ შევიწროებულია, ასე რომ გლეხები იძულებულნი არიან მემამულეებისაგან აიღონ იჯარით მიწები და ამუშაონ.

2) რადგანაც სათიბი და საძოვარი ადგილები ცოტაა, ამიტომ გლეხებს ვერ გაუჩენიათ საჭირო სამუშაო და სანაშენო საქონელი. ამის გამო გასანოყიერებელი ნივთიერებაც ცოტაა, და ნიადაგი-კი უნაყოფოა.

3) იმერეთის აღმოსავლეთ ნაწილში სიმინდი გლეხებს თითქმის არც-კი ჰყოფნის, დასავლეთ ნაწილში-კი არამც თუ ჰყოფნის, არამედ ჰყიდიან კიდეც.

4) განსაკუთრებით ფული იმერეთის აღმოსავლეთ და შუა ნაწილებში გლეხებს შემოსდით მევენახეობიდგან, მებოსტნეობიდგან, მებაღეობიდგან, მეაბრეშუმეობიდგან და ბამბისაგან, ხოლო განაპირა მაზრებში-კი განსაკუთრებით მევენახეობიდგან.

5) რადგანაც შინ გლეხებს სამუშავო არა აქვთ, ამიტომაც გადიან გარეთ და ისე ეწევიან თავიან ოჯახს, ამის გამო გუბერნიაში მუშა ხელი ცოტავდება და ფასი მატულობს.

Amicus.

* * *

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 აგვისტო

პეტერბურგი. მისი უმაღლესობა მთავარი ევგენი მაქსიმილიანისძე რომანოვსკი, ჰერცოგი ლეიხტენბერგისა 18 აგვისტოს გარდაიცვალა.

მოსკოვი. აზრად აქვთ, მომავალ იანვრიდამ მოსკოვის გარშემო რკინის გზის გაყვანას შეუდგნენ. ამ გზისთვის წელს ერთი მილიონია გადადებული, ამის გარდა მერმისაც ოთხს მილიონს გადასდებენ.

მოსკოვში იაპონიის ვაჭრობის სამინისტროს მოხელეებს და იაპონელ ვაჭრებს მოელიან. იაპონელებს აზრადა აქვთ იაპონიის ჩაი გაავრცელონ და ბაზარი მოუპოვონ. ჩაის საწყობების გამართვას პეტერბურგსა, მოსკოვსა, ოდესსას და ვარშავაში აპირებენ.

ლონდონი. „Times“-ს ატყობინებენ შანჰაიდან: აქ ამბავი მოვიდა იმათ დასჯის შესახებ, რომელთაც ჯო-ჯოუშიის ხოცვაში მონაწილეობა მიიღეს. იმ კაპიტანს, რომელიც 12 აგვისტოს დარაჯად იდგა, თავი მოჰკვეთეს. გუბერნატორს სწადიან 24 დამნაშავე კიდევ დასაჯოს სასტიკად. არა ჰფიქრობენ, რომ თანამდებობიდან გადაყენების გარდა, სხვა უფრო სასტიკი სასჯელი მიუსაჯონ დამნაშავეებს.

კაპშტადი. ბურების რაზმები შეჰფერსისა ბ ბაოდერმევეს უფროსობით აუტსგორნის სამხრეთით გავიდნენ. ხუტეგარნის დასავლეთით 14 აგვისტოს დიდი თოფის სროლა ისმოდა.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდან: „ჰარრიტი იტყობინება, ლოსბერგს ახლო გენერალ-დელარეის ძმა, პიტ დელარეი და რამდენიმე სხვა ბური დაატყვევეო“.

კლერკსდორპი. ვილიამსის რაზმი ერთი თვის განმავლობაში კლერკსდორპიდან ტაუნგსამდე მივიდა და ისევ უკან დაბრუნდა. ინგლისელებმა ბურებს წაართვეს 25,000 ცხენი, 4,060 სული საქონელი, 184 ფურგუნი, 100 ცხენი და ჯორი და 47 თოფი. 4 ბური მოჰკლეს, 8 დასჭრეს და 16 ბურმა მორჩილება გამოუცხადა. ინგლისელებმა რამდენიმე ათასი ტომარა პური დაუწვეს ბურებს.

რამბულიე. რესპუბლიკის პრეზიდენტმა დღეს საფრანგეთის ელჩი კონსტანი მიიღო.

ათინა. მთავრობა უარ-ჰყოფს იმ ცნობას, ვითომც პირეიში რუსეთი სადგურის გამართვას აპირებდესო.

კონსტანტინეპოლი. გარეშე საქმეთა მინისტრმა საფრანგეთის საელჩოს წევრს იმ დეპეშის პირი გადასცა, რომელი დეპეშაც ოსმალეთის მთავრობამ თავის ელჩს პარიჟში გაუგზავნა. ოსმალეთმა ამ დეპეშით საფრანგეთის მთავრობას სთხოვა, დიპლომატიურ ურთიერთობას ნუ შესწყვეტთო.

ფრედენსბურგი. როგორც ისმის, ინგლისის მეფე აქ 27 აგვისტოს მოვა.

ბუხარესტი. სასანიტარო საბჭომ კონსტანტინეპოლიდან წამსვლელ მგზავრებისა და გასაგზავნ საქონლისათვის კარანტინი 10 დღიდან 5-მდე შეამცირა.

19 აგვისტო

პეტერბურგი. გამოქვეყნებულ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი იმ გუბერნატორების მიმართ, რომელთა გუბერნიები მოუსავლობამ დააზარალა: „მოუსავლობა, რომელიც ეწვია ვიატკის, ვორონეჟის, ეკატირინოსლავის, ყაზანისა, ორენბურგისა, პერმისა, სამარისა, სარატოვისა, სიმბირსკისა, ტავრიდისა, უფისა, ხარკოვის გუბერნიებს, მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც მცხოვრებთა გამოკვების ახალმა წესებმა დაიწყეს მოქმედება; რასაკვირველია, ასეთ მოკლე დროში ახალი წესები თავის დანიშნულებას ვერ მიაღწევდნენ. რადგანაც მოუსავლობა ბევრს გუბერნიას ეწვია და ადგილობრივი დაწესებულებანი მომზადებულნი არ არიან, ამიტომ მთავრობას საჭიროდ მიაჩნია მიიღოს განსაკუთრებული ზომები დაზარალებულთა დასახმარებლად. რადგან საჭიროდ ვსთვლი შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ დაწესებულებათ დარიგება მივაწოდო, ამიტომ თავდაპირველად აღვნიშნავ, რომ დაზარალებულთა დახმარების საქმის მოსაწყობად გუბერნატორები მოვალენი არიან მტკიცედ აღასრულონ საგუბერნიო დებულების მე-322 და მე-323 მუხლების მოთხოვნილებანი; ეს მუხლები ავალებენ გუბერნატორთ მიიღონ განსაკუთრებული ზომები შიმშილობის წინააღმდეგ; ამის აღნიშვნა ამ ჟამად საჭიროდ უფრო იმიტომ მიმაჩნია, რომ 1900 წლის 12 ივნისის კანონით ხალხის გამოკვების საქმე მიენდო იმ დაწესებულებებს, რომელნიც გუბერნატორთ ექვემდებარებიან; მაშასადამე, გუბერნატორებმა უნდა თავს იდვან ამ საქმის რიგიანად გაძღოლა“. შემდეგ მინისტრი დაწვრილებით დარიგებას იძლევა. დასასრულ იმედს აცხადებს, რომ გუბერნატორები განსაკუთრებულის ყურადღებით მოეპყრობიან აღნიშნულ დარიგებას და ეცდებიან ყოველივე ბეჯითად აღასრულონ; ამასთანავე მინისტრი თხოულობს, რომ გუბერნატორებმა დაუყოვნებლივ თვეში ორჯერ აცნობონ მას, რა საშუალება მიუღიათ დამშეულთა გამოკვებისათვის. „ეს ცნობები, —ამბობს დასასრულ მინისტრი —საჭიროა ხელმწიფე იმპერატორის მოხსენებისათვის და ამიტომ მტკიცედ მწას, რომ გუბერნატორები ნამდვილს ცნობებს მოიწერებიან ხალხის გაჭირვებისა და გამოკვების შესახებ. გუბერნატორები უნდა ერიდონ, რომ გაჭირვება არ გააზვიადონ და არც დაფარონ ხალხის ნამდვილი მდგომარეობა“.

ფრედენსბორგი. დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, საბერძნეთის მეფე და საბერძნეთის პრინცი ნიკოლოოზი დღეს დილით კოპენგაგენში გაემგზავრნენ, სადაც დაათვალიერეს რუსეთის კრეისერი „ვარიაგი“; შემდეგ ისაუზმეს გემ „პალიარნაია ზვეზდა“-ზე, რომლითაც გელსინგფერში უნდა წავიდნენ.

ვარშავა. რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოების ვარშავის განყოფილება შუამდგომლობს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ფარმაცევტ ქალებს ნება მიეცეთ მამა-კაცებთან ერთად ვარშავის ფარმაცევტთა საზოგადოებაში შესვლისა.

ლონდონი. კიტჩენერი დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან, რომ ჩრდილოეთ რკინის გზაზე ბატერვალისა და გამანოკრალის შუა დღეს ბურებმა მატარებელი ააფეთქეს. 250 ბურმა მაშინვე თოფები დაუშინეს მატარებელს და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს. მოკლულია პოდპოლკოვნიკი ვანდელერი; დანარჩენ ზარალის შესახებ ჯერ ცნობები არ მოსულა.

პარიჟი. საღამოზედ პარიჟში დაბრუნდა ვალდეკ-რუსო. სამშაბათს დილით ელისეს სასახლეში მოხდება მინისტრთა საბჭოს სხდომა ლუბეს თავმჯდომარეობით.

შანჰაი. მახუნი, რომელიც იაპონიაში იგზავნება ბოდიშის მოსახდელად, გაემგზავრა ნაგასაკს და იქიდგან ტოკიოში წავა.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილით 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.). ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

სააგარაკო მატარებლები:

სააგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

სააგარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

განცხადებანი

ფრიად საჭიროა იმათთვის, ვისაც

თმა სცვივა.

მე, M-me ევგენია ლავო, გამომგონელი თმის გასამაგრებელ და საზრდელ სითხის

„ფენომენისა,“

ტფილისში ჩამოვედი და დავრჩები ძალიან ცოტა ხანს, რასაც ვაუწყებ პატივცემულს საზოგადოებას. სითხე „ფენომენი“. იხმარება შაკიკის, ნევრალგიისთ, თავისტკივილისა და სხვა ავადმყოფობის მოსარჩენად. მაქვს მრავალი მადლობის
წერილი იმათგან, ვინც ჩემ მიე
გამოგონილი სითხე იხმარა. მსურ-
ველთ ვიღებ დილის 10-დგან 12
საათამდე და 2 საათიდგან 6-მდ
რჩევა-დარიგების ფასი—50 კაპ.

პატივისცემით ევგენია ლავო

ხსენებული სითხე „ფენომენი
ნება-დართულია სამკურნალო მმა
თველობისაგან, ქ. ოდესა, № 1577

ადრესი: ტფილისი, „ვეტცელის
სასტუმრო, მიხეილის ქუჩა. კვ
გამოფენის დროს სითხე გამოფენა
ზედ გაიყიდება.

(4—190—1)

ქალაქი იურიევი, ლიფლიანდის გუ

პირველის ხარისხის ვაჟთა კე
ძო სასწავლებელი

გუგონ ტრეფნერისა.

საერო გან. სამ. გიმნაზიის კუ
სით, მოსამზადებელ კლასებითა
პანსიონით.

მოსწავლეებმა ყოველ წელიწადს უ
დაიჭირონ სწავლის დამთავრების გეზამ
მასწავლებელი ამზადებს სხვა-და-სხვა
მენებისათვის, მაგალითად, სხვა სასწავ
ბელებში და სამხედრო სამსახურში შ
ვლელად. განვლილ ნახევარ წელს სასწავ
ბლში ასწავლიდა 17 მასწავლებელი
სწავლობდა 285 მოსწავლე. მიღება
სწავლეებისა შეიძლება ყოველთვის ნ
არის წლის განმავლობაში. წლოვან
დაბრკოლებას ვერ გასწევს მიღების დრ
სწავლის ფასი პანსიონში შენახვასთან ერ
ნახევარ წელიწადს 110 მანეთია.
ფასი დაეკლებათ. **სწავლა დაიწ**
16 აგვისტოს. განცხადება ყოველ
მიიღება. დაწვრილებით ცნობების შე
ბა შეიძლება--პირადად და წერილობით-
იურიევში, საკუთარ სახლში, „კო
ქუჩაზედ, № 2.

გუგონ ტრეფნერ

(2—178—2)

პატივცემულ ქართველ საზოგადოებას



გვაქვს პატივი ვაუწყ
რომ ამ დღეებში ჩვენმა
ვაჭრო ფირმამ საზღვარ-გა
თიდგან მიიღო მრავალი
ლისა და ფეხის საკერ
მაშინა სხვა-და-სხვა ფაბ
კებისაგან. ჩვენი სავაჭრო
რმა პირიანად ჰყიდის სხ
და-სხვა სისტემის მაშინე
ამასთან მყიდველებს თმობა
შინა მომეტებულ პრო
ტით, ვიდრე სხვაგან ს
ტფილისში, რისთვისაც ვ
მაშინის შეძენის მსურ
ვთხოვთ მობრძანდეს და
წმუნდეს სინამდვილეში.
ფირმის წარმომადგენ
გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილი და დიმიტრი დავითის ძე ჯმუხაძე.

ადრესი: სიონის ქუჩა, მაისურაძის და ხოჯაფარუხოვის ქარვასლა, № მაღაზია
და 53.

ტელეგრამის ადრესი: ტფილისი, ლაზარევი და ჯემუხაძე, ტელეფონი 7

(25—163

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

ტელეფონი № 174.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნა
ლოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტა
რო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ
ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის
საჭმელებისათვის, ჰურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა
რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფა
რეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარო
რაც დასჭირდებათ (თუნდა მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტა
გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхаз

(100—43—83)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Августа 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.